

ი-ხმოვანფუძიანი საზოგადო საცოლები სახელები კართულში

ი-ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები ქართულში, როგორც
ცნობილია, ცალკე ჯგუფად გამოყოფილი არ არის. სამეცნიერო
ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ასეთი სახელები საკუთრივ ქარ-
თული წარმოშობისა არაა; იმ შემთხვევაში კი, როდესაც სხვა ენი-
დან შემოდის სიტყვა, რომელშიც ი ფუძის ბოლო სმოვანს წარმო-
ადგენს, ქართულში ეს სმოვანი. გასაგები მიზეზის გამო, სახელო-
ბითი ბრუნვის ნიშნად არის მიჩნეული. შაგაღითებია: ბერძნული —
მონასტერი, ოლარი, პარასკევი... არაბული — ფალი, მუშგარი...
სპარსული — აბაზი, ზანგი... თურქული — ელჩი, გემი, კუთი.
იმ სიტყვების ნიმუშად, რომელთაც ფუძისეული ი შენარჩუნებული
აქვთ, დასახელებულია: ჩაი, პაი, ტრამვაი¹. ამასთან, აღნესხუ-
ლია ფუძეულებითაგან მათი განსხვავებული, ფუძეულებიდებთან კა-
დამსგავსებული ფორმები (ნათ. და მოქმ.) ბრუნვებში².

მრავლადაა ქართულში ი-ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელე-
ბიც, რომელებშიც აგრეთვე ჩანს ტენდენცია ფუძისეული ი-ს შეკვე-
ცისა. ამგვარი სახელების საგანგებოდ განხილვისას გაირკვა, რომ
საკუთარ სახელებში ფუძისეული ი-ს დაკარიცვა (ანტონ, ბასილ,
გრიგოლ, შაკარ და სხვ.) ან გაჩენა (გივი, ვისი) გარკვეული ფო-
ნეტიკური თუ სტრუქტურული კანონზომიერებით არის შეპირობე-
ბული.

ი-ხმოვანფუძიან საზოგადო სახელებს გაკვრით რამდენჯერმე
ისხენიებს პოვარდ არონსონი. ერთ-ერთ სტატიაში იგი აღნიშნავს,

¹ ა. შანია, ქართული ესის კრამტიერის საფუძვლები, 1, თბ., 1973,
გვ. 66—67.

² არ. ჩიქობავა, ქართული ესის წოვალი ღიასისოფება, ქველ, ტ. I, 1950,
გვ. 039.

³ ა. შანია, ი სმოვანფუძიან ანთროპონიმთა ბრუნვების ისტორიისთვის
ძალისული, კრებულშიც ამაღლის ურიცხატერი გორგო იხლელიანის, თბ., 1969,
გვ. 131.

რომ ქართული სახელობითის ფორმა არ იძლევა საშუალებას გავარკვით, ფუძისეულიათ თუ ბრუნეისეული სიტყვის ბოლოებიდური ი, გარდა ისეთი სიტყვებისა, სადაც ი-ს წინამავალი ბგერა სმოვანია და შესაბამისია ი არ შეიძლება ბრუნეის ნიშანი იყოს (მსჯელობა ახალ ქართულს ესება); ფოკე, ჩაი, ტრამვაი. იმ შემთხვევაში კი, სადაც სიტყვის ბოლო ი-ს წინ თანხმოვანი მიუძღვის, ი-ს რაობა სახელობით, ბრუნეაში არ ჩანს. შესაბამებლად მას დასახელებული აქვს, ერთი მხრივ, ტაქსი, ჩილი (გვოგრაფიული სახელწოდება, ოომელიც ამჟამად ჩილე ფოტოთაც კვებდება), ფიური, იანკი, ვისკი, დენდი, ჟალუზი, მეორე მხრივ კი — ლექსი, ხილი და სხვ.⁴ იგი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ი-სმოვან ფუძიანი სახელები (ჩაი, ტრამვაი, ტაქსი) შეირენიცხვას ნასესხობებს წარმოადგენს.

უცხო წარმომობის საშოგადო სახელები, რომლებიც ისტორიულად ი-სმოვანურიანია, უკეთოდ მრავლად გვხვდება საშუალებრივში. უმეტეს შემთხვევაში ასეთ ფუძეებში ბოლოკიდური ი, საბ. ბრუნეის ნიშნად გაგებული, სხვა ბრუნეებში იკვეცება (ამგვარ ადრეულ ნასესხობათაგან ზოგიერთი თანამედროვე ქართულშიც არის შემონახული, — როგორც სამწერლობო ენაში, ისე დიალექტში). მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ: სოხასტერი, კრასოული, პიტაი, პრეტორი, კაწინი⁵ (ბერძნულიდან შემოსული). განსაკუთრებით ბევრია ასეთი სიტყვები ნასესხები აღმოსავლური (არაბული, სპარსული, თურქული) ენებიდან. მრავალი მათგანი დავით ჩებინაშვილის ლუქსიკონშია შეტანილი⁶. ასეთებია: ვალი (პროვინციის მშაროველი), ქეთლი (წყლის ასადულებელი ჭურჭელი; ეს სიტყვა დღეს დადასტურებულია ქართლურში, ქიშიყურში, თუშურში...⁷), თულუსი⁸ (თურქ. თულუსით წყლის მზიდველი), ქვშიგჩი (მეკაჩე. კარის მცველი) და სხვ.

⁴ Howard L. Aronson, Formal Correlates to Function in the Georgian Declension, Bedi Kartliisa, v. 35, Paris, 1977, ვ. 255.

⁵ Howard L. Aronson, Georgian, A Reading Grammar, Slavica, Columbus, Ohio, 1982, ვ. 121.

⁶ ა. შანიძე, ქართველთა მოსახური პულგარეთში და მისი ტიპიკობი, თბ., 1971, იბ. ლექსიკონი.

⁷ მ. ვახიძე, კაწინ სიტყვა გრიგოლ ბატურიანის-ძის ტანიკოში, კრეპულში: ძეგბანი საქართველოსა და კუვაბის სტუმარების, თბ., 1976, ვ. 140.

⁸ ქართულ-არაბული ლექსიკონი, ფლახლად შემცვევებული ღვივით ჩეგინი კონკრეტული, სანკტ-პეტერბურგი, 1887.

⁹ ღლ. ღლონტი, ქართულ სიტყვა-ოქმითი სიტყვის ლინ. თბ., 1924.

⁶ ქართული სიტყვა კულტურის საკონცეპტოდა.

ბოლო ხანებში ქართულში შეიმჩნევა დიდი რაოდენობის ახალი ნახესხობანი, რომელიც ძირითადად რესულის მეშვეობით არის, შემთხველი, თუმცა წარმოშობით სულ სხვადასხვა ენებიდან მიღის, მათი ერთი ნაწილი დღეს საკმაოდ ხშირად ისმარება: ბრენდი, ვისკი, კოვბორი, პენალტი, ზაღლი, რეგბი (ან რაგბი), ჭური, სპაგეტი, ტატამი, ტორი (პოლიტიკური პატტიის წევრი ინგლის-ში), პობი, პოკეი და სხვ.; მრავალი კი (შედარებით იშვიათ ხმარებული) დადასტურებულია ღექსიკონებში¹⁰.

ამიტომ ი-სმოვანფუძიანი სახელების განხილვა მნიშვნელოვანია, როგორც ენის ისტორიის თვალსაზრისით, ისე მათი გრამატიკული ფორმისა და ხმარების ნორმათა განსახაზდებავად თანამედროვე სმარებაში. ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ ამჟამად ჩევნს მიზანს არ წარმოადგენს განსახილვებს სიტყვათა წარმომავლობის კვლევა; ღექსიკონებში ზურად შითითებულია ბირველწერო, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მთითებული უშეტესად სულიძო არ არის; ამიტომ ზუსტ წარმოდგენსა ამა თუ იმ სიტყვის თავდაპირველი ფორმისა თუ მნიშვნელობის შესახებ არ იძლევა¹¹. სიტყვის წარმომავლობისა თუ მისი თავდაპირველი ფორმის გარკვევას, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა აქვს ქართულში მისი სწორად მარების დასადგენადაც. მაგალითად, რომელია სწორი: პარაკირი თუ ხარაკირი (იაპონური), ატორენი თუ ეთერნი (ინგლისური) და სხვ. მაგრამ ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხისათვის ამ გარემოებას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ი უუძისეულად რჩება ამ განსხვავებულ ფორმებშიც.

ქვემოთ განხილულია ი-სმოვანფუძიანი საზოგადო საზელები, რომელიც სემანტიკურად საკმაოდ მრავალფეროვან ჯგუფებს ქმნის¹². მათ შორის შეიძლება დაესახულოთ:

¹⁰ ი. ქ ე გ ლ -ის რეაგომეული, 1950—1964, აგრძოვე მ. ქ ა ბ ა შ ე ლ ის შედეგებით უცხო სტერიო დექსირი, თბ., 1982, სალანდ ამოდიბულია, ჩევნ მიურ დაინტერესულ ნისალის ერთი ნაწილი.

¹¹ მაგ., კოლობრი უსლ-ჲი გარემოტებულია როგორც ესპანერიდან მომზრინებით სიტყვა (colibri). სტორიულიც კი ეს ატყვა ესპანერში შესულია ჩევრის მორის გრინ შოსახულობის ერთ-ერთი ენიდან: ეს სახელი შევის პეტრა ფრინფლის, რომელიც ცენტრალურ და სამხრეთ მერიკუმში ბინარითობს.

¹² ას ვაკლისხმით შორისდებულებს (პიო, ვაი), მიმართებს ფირჩებს (დედი! ბიბი!), კროკელთა პოსხებობა (ბული-ბული! დო-დოი! ტუბი-ტუბი და სხვა).

ადამიანთა აღმნიშვნელი სხვადასხვა ნიშნის მიხედვით (პროფესია, სოციალური მდგრძნობა, წარმომავლობა და სხვ): ატორნეი (ინგლ. attorney — უკისტი, ვექილი), აშენაზი (ვეროპელი ებრაელი), ბობი (ინგლ. boy „ბიჭი“, მსახური), დენდი (ინგლ. dandy — კაცი, რომელიც კარგად იცამს), იანკი (ინგლ. yankee — ამერიკელი), კოვბოი (ინგლ. cowboy), კოკნი (cockney დონდონის ისტ. ენდის მჯვიდრო — მდაბიო), (ლაცარონი იტალ. lazzaroni მრავლ. ფორმით — მაწანერია, უსახლვარი), ლედი (ინგლ. lady), მაგი (ურანგ. maquis — პარტიანთა სტელი მორე მსოფლიო ომში), მაფიაში (იტალ., მრავლ. ფორმით — მაფიის წევრი), მუფთი (არაბ. mifti (შაშმადიანი სასულიერო პირი)), მილედი (ინგლ. milady), ნუნცი (ლათინურიდან, რომის პაპის წარმომადგენელი), პანი (პოლონ. pałacznik), პატრიციუ (პატრიციუ, ლათინ. patricius), პიგმეი (ინგლ. pigmy, ურანგ. pygmée, ბერძნულიდან — კრა-ერთი აფრიკული ტომის წარმომადგენელი), პლებეი (ილებეი, ლათინ. plebeius), ჟიური (ინგლ. jury), რანი (ინგლ. rance, ინდური წარმომავლობისა), სამურაი (იაპონური), სიბაი ან სიფაბი (ინდუსტრიული ჯარისკაცი). ტორი (ინგლ. toru, კოსეტერეტორია პარტიის წევრი), ტრავესტი (ფრანგ. travesti „განასხვამოსაცვლილი“ — მამაკაცის როლის შემსრულებელი ქალი), ფინანი (სპარს.-იურული — ხარაზი, მეჯღანე; ამავე წარმოებისა მრავალი სიტყვა, რომელშიც თურქული მაწარმოებელი -ჩი ან -ჯი გამოიყოფა: თულუსჩი, თოიჩი, თოფჩი, ქვშიკი და სხვ.), კული (coolie, ინდურ-ინგლ.), ამბალი, შავი მუშა), ჩიჩისბეი (იტალ. cicisbeo, ძველად — გათხოვალი ქალის შედმიგი თანამგზავრი, დღეს — შეგზური), ხორუნგი (პოლონ.-რუსული ხორუნგის იუფირის ჩინი), ჯენტრი (ინგლ. gentry ღარიბ მემამულეთა ფეხა), პაჯი (არაბ. بچه, ში საღოცავად ნაშეოფი კაცის ტაიტული) და სხვ.

ცხოველებისა და ფრინველთა სასელები: აგუტი (მღრღნელი ცხოველი სამხრეთ ამერიკაში), გრიზლი (ინგლ. grizzly ამერიკული დაოვი), კივი (ფრინველია აუსტრალიაში), კოლი (ინგლ. collie შოტლანდიური ნაგაზი), კოლიბრი (ფრინველი), ლორი (ლემური სამხრეთ აზიიდან; თუთიყუშის ჯიში), მეპარი (არაბ. سچلچه მის ჯიში), თვაბი (ჩლიქსანი ცხოველი აფრიკაში), პანი (ინგლ. pony პატარა ცხენი), პული (უნგრ. puli ცხერის ძაღლი), პუში (უნგრ. pumi ძაღლის ჯიში) და სხვ.

სპორტთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები: ბატერ-
ფლარ (ინგლ. butterfly; ცურვის სახეობაა), ბობსლეი (ინგლ.
bobslieigh სპორტული ციგა; ამ ციგით სრიალი), პენალტი (ინგლ.
penalty დანაშაულის საზღვრული), ჯოკეი (ინგლ. jockey), რალი
(ინგლ. rally მეჯიბრება ავტორბოლაში), რეგბი ან რაგბი
(ინგლ. rugby ყებულთის სახეობა), რეფერენსი (ინგლ. referee
მსაჯი), ტიფონში (იტალ. tifoso „ტიფიანები“ — ყებულთის
გულშეშატკივრები), ტროფეი (ფრანგ. trophée, ინგლ. trophy —
ნადავლი) და სხვ.

ნივთების სახელები: ბაგი (ინგლ. buggy — პატარა ეტლი;
სპორტული აეტომობილი), ბიკინი (ინგლ. bikini), გეოგრაფი-
სახელიდან — საბანაო ტანსაცმელი), ბუი (ინგლ. buoy, ჰიდანდ.
boei სასიგნალო ტივტივა წყალზე), დინგი (ბენგალურ-ინგლ.
dinghy პატარა ნავი), დისპლეი (ინგლ. display გამოჩინება —
კომპიუტერის კურანი), ვერკბლი (გერმ. Werkblei — ქიმიური
შენაერთი), კეპი (ფრანგ. képi ქუდის სახეობა), ობი (იაპო-
ნური კიმონის სარტყელი), ორგანდი (ფრანგ. organdie ქსოვი-
ლის სახელია), ჟალუზი (ფრანგ. jalouseie მზის საჩრდილობელი
დარაბა), საბერე (ინგლ. subway მეტროლიტენის სახელია),
საჩი (ინგლ. sari — ქალის ტანსაცმელი), სედი (ქალალ-
დის ტიხარი იაპონურ სახელებში), ტატარი (იაპონური საჭიდაო
სალიჩა), ტეპი (ინგლ. leprees ამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთი
ენიდან — ვიგვამი, კონუსისებრი კარავი), ტროლეი (ინგლ.
trolley გორგოლაშებიანი ტარი, ზორ.: ტროლეიბუსი), ფაი
(ფრანგ. faille ქსოვილის სახელია), შასი (ფრანგ. chassis თვით-
მფრინავის ბორბლები), ჰობო (გერმ. Hoboe, Hoboe ძვ. დრანგუ-
ლიდან — მუსიკალური ინსტრუმენტი) და სხვ.

სასმელ-საჭმელთან დაკავშირებული სიტყვები: სპორტი
(ფრანგ. assorti სხვადასხვა ნაზავის სახელი), ბრენდი (ინგლ.
brandy), დაიკინი (ინგლ. daiquiri კოქტეილია; შერქმეულია
გეოგრაფიული პუნქტის მიხედვით), ვისკი (ინგლ. whisky),
ვიში (ფრანგ. vichy მინერალური წყალი; ადგალის სახელიდან),
მარტინი (კოქტეილი; ფირმის მფლობელის გვარია), სალაში
(ატალიურიდან; salami ძეხვის სახეობა), სპაგეტი (იტალ.
spaghetti მრავლ. წვრილი თოქი — მაკარონის სახეობაა), ტოკაი
(უნგრ. გეოგრაფიული სახელიდან — ღვინის სახელია), ფრი
(ფრანგ. frit — შემწვარი), შაბლი (ფრანგული ღვინო, სახელი

შოდის აღვილის სახელწოდებიდან — Chablis), პასი (საჭმლის ასაღები ჩსირები იაპონიაში) და სხვ.

უკლის ერთეულთა სახელები: აფლანი (აფლანეტში), აშრაფი (ძველებური ოქროს მონეტა სპარსეთში), ზლოტი (პოლონეთში), ლეი (რუმანეთში), პენი (ინგლ. penny), სედი (განაში, აფრიკაში) და სხვ.

პოლიტიკური და იურიდიული ტერმინები: ალიბი (ინგლ. alibi ლათინურიდან), ლობი (ინგლ. lobby პოლიტიკური გაერების მქონე წრე), პაბლისიტი (ინგლ. publicity სააშვარაოდ გამოტანა) და სხვ.

სხვა მაგალითებია: აპრიორი (ლათინ. *a priori* იმთავითვე, წინასწარ), გაბუკი (იაპონური თეატრი), კური (რადიოაქტივობის ერთეული; ტერმინი შექმნილია გვარის მიხედვით), პაპატაჩი (იტალ. pappalaci ავადმყოფობა), საბანგუ (თათართა და ბაშკირთა დღეხასწაული), სირჩაკი (ბერძნული ცეკვა), სიტი (ლინდონის უბანი, გადატანით — ბისხესის ცენტრი), შიმი (ინგლ. shimmie, 20-იან წლებში გავრცელებული ცეკვა), ცენამი (მაღალი ტალღა წყნარ ლეიტენაში), პარაკირი ან საჩავირი (თვითმკვლელობა გარკვეული წესით იაპონიაში) და სხვ.

ნამონასუადიდან ჩანს, რომ ი-ხმოვანურიან საზოგადო სახელთა რაოდენობა ქართულში დღეს საკმაოდ დიდია. შერთალია, ბევრი მათგანი სმირი სმარების სიტყვა არ არის (ზოგიერთი კი სპეციალური ტერმინია), მაგრამ მათი განხილვა დინგვისტური და პრაქტიკული თვალსაზრისითაც არ არის მნიშვნელობას მოკლებელი.

ზემონასუადილ სიტყვათაგან ზოგი გვიან არის შემოსული. მაგალითად, ქევლ ში არ არის სიტყვები: ბორ, ბორნდი, კოვბორ, რალი, რანი, ტატამი, ცუნამი, ჰაბი, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იმ წყაროების მიხედვით, რამელთა მასალები გამოყენებულია ამ ლექსიონში. ეს არც იყო მოსალოდნელი. ახლად ნაისახები სიტყვების უმეტესობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულში რუსული ენის მეშვეობით არის შემოსული. რუსულის გაყლენა ზოგჯერ ჩანს ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმაში; ქევლ-ის რეატორებულში ძირითად ერთეულებად ნაჩვენები იუბილეს, ლიცეუმისა და მაკსოლეუმის გვერდით გვხვდება — მათზე მითითებით — იუბილე (შდრ. იუნილე), ლიცეი (შდრ. ლიუსე) და მავზოლეი (შდრ. მავსილე). მოგვიანებით გამოცემულ ერთომეულსა და უცხო სიტყვათა ლექსიონში (უსლ) კი არის მხოლოდ იუბილე,

შავზოლეუმი და ლიცეუმი (უსლ-ში ლიცეუმი და ლიცეი).
 ნუნცი მხროდ ამ სახით არის ქეგლ-ზი, ხოლო უსლ-ში არის
 ნუნციუსი და ნუნცი. რუსულის გავლენა ჩანს გინეა სიტყვის
 გადმოცემაშიც (უსლ): ინგლისებრი კუინა (ფულის ერთეული
 — 21 შილინგი) გამოითქმის ასე: გინე, ქართული იმეორებს
 რუსულ ფორმას. ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც სიტყვა შემოს-
 ვლისთანავე არარესული (ლათინური ან ბერძნული) ფორმით იყო
 ხმარებული, ქართულში დამეჯიდობა რუსულისაგან განსხვავებული
 ფორმა: მუხეუმი (შდრ. მუზეი), სანატორიუმი (შდრ. სანატორიუმი).
 ასეთივეა ზოგიერთი ქიმიური ნივთიერებისა და შენაბეჭის სახელი:
 კალციუმი (შდრ. კალციუმი), ნატრიუმი (შდრ. ნატრიუმი)
 და სხვ. მაგრამ უკანასკნელ სანებში ზეპირი გზით გავრცელდა მოზფი,
 უსლ კი უაითებს სხვა ფორმებსაც: მოზფი, მოზფიუმი (არ არის
 ძირითად საღექსივონო ერთსულად მიჩნეული), მოზფინი. ქართუ-
 ლისათვის, რა იქმა უნდა, არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა უუნეცვისა
 ი იმ ენაში, საიდანაც სიტყვა არის შემთხველი: ფუძისულია იგი
 (ვისკი) თუ მაწარმოვალი (თულუსხი). ცოცხალ სამეტყველო
 ენაში (ძველადაც და ასლაც) ერთი და იგივე ტენდენცია მოქმედებს:
 სადაც კი შესაძლებელია, უკრო სიტყვის ფუძისულია ი აღიმება
 ბრუნვის ნიშანად. ამიტომ მორცელოვანურად გათანაბრებულია ისე-
 თი სიტყვები, როგორიცაა ობ-ი — სოკო და ობი — იაპონური ქა-
 მარი, დინგ-ი — ღირის ცხვირი და დინგი — პატარა ნავი,
 ლოზ-ი — დამარილებული სორცი და ლოზი — აფრიკული მაიმუნი,
 საჩ-ი — ჭიგო და სარი — ინდოელი ქალის სამოსი, ტონ-ი —
 ცხოველის თათი და ტორი — პოლიტიკური პარტიის წევრი ინგ-
 ლისში, ამიტომაა, რომ დღეს ხშირად ისმის ასეთი ფორმები: ტაქს-
 მა არ გამოიარა, „დედოფალი ამზადებს პონს“ (იოქვა ტულეგა-
 დაცემაში, სადაც ნაწერები იყო ინგლისის დედოფალი შვილი-
 შვილებთან ერთად ცხენების სეირნობის დროს). „ჩემს პონს წარ-
 მოადგენს სეზ კევთა“ (ესაც ტელეგადაცემაშია გავთნილი), „ტა-
 ტიამშე ჭიდაობა გაიმართა“. იგივე ტენდენცია ჩანს ი-ხმოვანეუ-
 ძიანი საეუთარი სახელების ხმარებისას: „მაკიაველმა იქვა“, „მაგანინმა კითლინოზე დაუკრა“, „მარჩელო მასტრითიანს ბევრი
 ხოლი შეუსრულებია“, „რაფსანჯანს აქროდრომზე დახვდნენ“.
 გეოგრაფიულ სახელებში: „დელში (ან: პელსინგში) ჩავიდა“, „მაიამში შეჯიბრება დამთავრდა“.

უნდა შეინიშნოს, რომ ერთიანობა ი-ხმოვანეუძიანი სახელების
 გაღიფუყაციისას არც სამეცნიერო დიტერატურაშია; მაგალითად:

კოლიბრი — ი ბრ. ნიშანია ქეგლ-ში (თუმცა იქვეა მითითებული ესპანური ამოსავალი ფორმა colibri). ასევეა ინკერსიულ ლექსიკონი¹³, ხოლო ი ფუძისეულია უსლ-ში; ასევე: კიურ-ი (ქეგლ, ინკერს., უსლ) და ჭიური (ორთ.¹⁴ და უსლ); ფალუზი (ქეგლ, ინკერს., უსლ) და ჭალუზ-ი (მაგალითად: ფალუზე — ორთ.); ეფენდი-ი (ქეგლ) და ეფენდი (ინკერს., ორთ., უსლ); ბრუნვისეულად მიიჩნევა ი სიტყვაში ფუძის ბოლოს გრძელი სმოვანია იმ ენებში, საიდანაც ნასესხებია ეს სიტყვები. (აიგანი ფულის ერთეულია ავღანეთში, ხოლო აშტარი თქმოს მონეტაა ირანში, იჭრებოდა 1932 წლამდე).

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ნათლად ნანს ტენდენცია ფუძის ბოლოციდური ი სმოვნის ბრუნვისეულად მიჩნევისა მხოლ. რიცხვში; მიუხედავად ამისა, მიზანიერობილია ფუძისეული სმოვნის შენარჩუნება საზოგადო სახელებში; საკუთარ და გეოგრაფიულ სახელებში ი-ს ფუძისეულად მიჩნევა აუცილებელია, რადგან ამგვარ სიტყვებში ამოსავალი ფორმის შეცვლამ შეიძლება ფორმის დამახინჯების გარდა პრაქტიკული გაუკებრობაც გამოიწვიოს.

მრავლობითი რიცხვის წარმოებისას ან სმოვნით დაწყებული სადერივაციო მაწარმოებლის დაზოგისას ფუძისეული ი, ჩვეულებრივ, იკვეცება: თულუზში სიტყვასთან ქეგლ-ში დამოწმებულია მაგალითი XIX ს. წყაროდან: „თულუზშები და მებოჭკეები“ („იურიიდან“). თანამედროვე ქართულშიც ანალოგიური ფორმები გვხვდება: „რისოვისდა სჭირდებათ კოლიბრებს, ხოხებს ასეთი უნატიუები ფორმები?“ („დროშა“ № 15, 1988); „ამას მოჰყავა პენალტების სერია“ (სატელევიზიო გადაცემიდან); „მაფიოზებს მოუკლავთ“ (გავონილი). წარმოშავლობის ელ სუფიქსთან ი-ს შეკვეცის მაგალითია „პაიტელი დიქტატორი“ (სატელევიზიო გადაცემიდან); გეოგრაფიული სახელია პაიტი (Haiti, შდრ, განტ). ფუძისეული ი-ს შენარჩუნება სმოვნით დაწყებული მაწარმოებლის დართვისას შექმნიდა ქართულისათვის არამუნებრივ სმოვანთა კომპლექსს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ი-ს წინ სხვა სმოვანი მიუძღვის (ბატერფლაი, სიბაი; პლებეი, პიგმეი; ბოი,

¹³ ინფორმაცია ლექსიკონი: შეგვენილი ბ. ფოჩ სუს ხელმძღვანელობით, თბ., 1967.

¹⁴ ვ. ათ ფულია და ივ. გიგანტე შვილი, ქართული ენის ორთოგრაფული ლექსიკონი, თბ., 1968.

პობრი). მაშინაც, როდესაც ფუძის ბოლოებური ი-ს წინამავალი ბგერა თანხმოვანია, მისი კვეცა მრავლობითის უბ ფორმანტის დართვისას ქართულ ენაში კარგად ცნობილი მოვლენის — ერთ ხმოვნობისაკენ მისწრაფების შესაბამისად სდება¹⁵. ეს ვითარება ვლინდება სხვადასხეა დაბოლოების შემნე ი-ხმოვანურიან სახელებში, ამიტომ მრავლობითის კარობრომიერი ფორმებია: პინქი, ტატამები, მაფიოზები, პენალტები (და არა: პონიები, ტატაშიები, მაფიოზიები, პენალტიები).

უნდა ითქვას, რომ დანიშნულების სა—ო და სა—ე სახელთა წარმოებისას ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია ფუძისეული ი-ს შენარჩუნება: საჩაუ, საპათ შესატანი, სატრამვაიო ხშირი.

საბოლოოდ, ი-ხმოვანურიან სახოვალო სახელთა ბრუნების პარადიგმი ამგვარად წარმოგვიდგება: ისინი ფუძეულებულებად უნდა მივიჩნიოთ მხოლო. რიცხვში (მიუხვდავად იმისა, რომ ცოცხალ მეტყველებაში ჩანს ტენდენცია ჩათი თანხმოვანურებიანად ქცევისა), ხოლო მრავლობით რიცხვში ამგვარი სახელები უუძევეცადია. მაშასადამე, ისინი იმგვარად იძრუნება, როგორც ი-ხმოვანურიანი სახელები იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ხმოვანი მაწარმოებელია: ღეღღოფალა, ნიბლია¹⁷ (ნათ. ღეღღოფალას კაბა, ნიბლიას ბუდე; მრავლ ღეღღოფალები, ნიბლიები). ეს დასეკნა შეესაბამება „ნიტ-მებში“ გატარებულ წესს, რომლის მისევევითაც ი-ბოლოს ხმოვნიანი საზოგადო სახელები (პაი, ტრამვაი) და უცხოური გვარები მხოლო. რიცხვში ინარჩუნებს ფუძისეულ ი-ს, მრავლობითში კი (თუ მისი წარმოება შესაძლებელია) ი მოიგვეცება: გარიბალდები, ტოლსტოები. ი ჩამოშორდება წარმოების შემთხვევებშიც: გარიბალდებულ-ი. სხვა ვითარებაა გვეგრაფიული სახელების ლოკალურ პრუნებში ფუძისეული ი უნდა დარჩეს: ღეღღიში ჩივიდა; სიდი მისისიბიზე¹⁸.

¹⁵ შ. ძიძიგური, ხელვათა კომისიების ფონდებურ პროცესით საუცხელო ქართულ კლიენტს და ჩანგრეულ, უკ. I, 1946, გვ. 29—33. შ. აგრძოეთ უთურგარე, ქართული ენის ფონდეტური სტრუქტურა, თბ., 1976, გვ. 26 და შემ.

¹⁶ ცვლალება განვითარ ტრამსტრიტი სახელის უდის შახელობითის და წარმოვლობის ფორმების უდი-ბ-ი შეცვალა უდი-ე-ით, ხოლო უდ-ურ-ოთ. რეძისეცლა ი ხმოვნის შენარჩუნება მექანიზმი ნიტრიულიადა მიჩნეულია; ეს მივღელოთ მონაწილე ლოც. შუგა ი ფრინდონ მ, რომოვასებ მაღლობის მოვახსნება.

¹⁷ ა. შანაცე, ქართული ენის გრამატიკის საუცხელები, გვ. 66.

¹⁸ თანამდებოვე ქართული სალიტერატურო გრის ნორმები, I, 1970, გვ. 77.